სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი

საკონტაქტო ინფორმაცია:

eter.gvineria@tsu.ge
577 575 255
natalia.barateli@tsu.ge
577 970 205
loladze.teimuraz@mail.ru
577 131 538

პროგრამის ხელმძღვანელი:

ეთერ ღვინერია
ასოცირებული პროფესორი - განათლების მიმართულება

ნატალია ბარათელი
თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე

თეიმურაზ ლოლაძე
თსუ ქუთაისის სასწავლო ცენტრის დირექტორის მოადგილე

ქ. თბილისი
2015 წ.

I. **სახელწოდება:** ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი

II. **სარეგისტრაციო ნომერი:** 01101-პ

III. **პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით:** მეხუთე

IV. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

V. **საკანონმდებლო ბაზა:**
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული სტანდარტი

VI. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბაგა-ბაღში, სასკოლო მზაობის პროგრამებში, კერძო საბავშვო დაწესებულებებში, საბავშვო გასართობ ცენტრებში, დღის ცენტრებში, სკოლამდელი ასაკის ბავშვის მომსახურების ცენტრებში და ა.შ.

VII. **პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ბაღის კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

VIII. **სწავლის შედეგები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება
- სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით
- სააღმზრდელო პროცესის მართვა პოზიტიური გაძღოლის პრინციპების გამოყენებით
- წარმატებული, უსაფრთხო მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა

IX. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**
- **მოცულობა:** 130 კრედიტი
- **ხანგრძლივობა:** 20 სასწავლო თვე

X. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები*	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	3	გაცნობითი პრაქტიკა-ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	2	ხატვა	5
რაოდენობრივი წიგნიერება	5	საწარმოო პრაქტიკა-ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	12	ძერწვა	2
საინფორმაციო ტექნოლოგიები	1	პრაქტიკული პროექტი-ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	6	ორიგამი, კირიგამი და აპლიკაცია	3
მეწარმეობა	2	ადრეული განვითარების თავისებურებები	6	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	4	ადრეული განათლების კურიკულუმი	6	კომპოზიციის ძირითადი პრინციპები	5
უცხოური ენა	5	ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა	6	ივენთ მარკეტინგი	3
		სააღმზრდელო გარემო	6		
		სააღმზრდელო პროცესი	6		
		სწავლების შინაარსი: კომუნიკაცია, მეტყველება, წიგნიერება	6		
		სწავლების შინაარსი: მეცნიერება და მათემატიკა	5		
		სწავლების შინაარსი: სახვითი	5		

		და პერფორმანსული ხელოვნება და ფიზიკური აქტივობები			
		დაკვირვება და შეფასება	5		
		განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები	6		
		ოჯახი, თემი და სააღმზრდელო დაწესებულება	4		
		ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	6		
		პროფესიული ეთიკა	3		
სულ:	**20**	**სულ:**	**90**	**სულ:**	**20**

XI. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 20კრედიტი.